სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

18 სექტემბერი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 136

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 8 ივლისის N107 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე- 6 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1157134, 18.09.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები:

ა) პროექტის შიფრი **UOGSP-24-057**, "ქართულ არაიდენტიფიცირებულ ხელნაწერთა ფოტოები და ნეგატივები ბოდლეს ბიბლიოთეკაში" (ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევების მიმართულებიდან);

ბ) პროექტის შიფრი **UOGSP-24-014**, "ტრადიციების და თანამედროვეობის გადაკვეთა: ქართული ეთნოლოგიის გადაფასება პოსტკოლონიურ და ციფრულ ჭრილში ოქსფორდის უნივერსიტეტში". (სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულება).

2. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა არაუგვიანეს 2024 წლის 25 სექტემბრის 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ პირადი ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
3. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 31 ოქტომბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი